კოტე ლერნერი
(იერუსალიმი)

„არიან- ქართლი“- ს შესაძლო ადგილმდებარეობისათვის

წინათქმა

ქართველურ ტომთა დოკუმენტირებულ პოლიტიკურ ისტორიას ძვ. წ. ა. მეორე ათასწლეულის ბოლოდან შეიძლება გავავლოთ თვალი. კერძოდ, ძვ. წ. ა. მე-12 საუკუნიდან მოყოლებული და ძვ. წ. ა. მე-9 საუკუნამდე ქართველური ტომები ხშირად იხსენებიან ასურელ მეფეთა სალაშქრო წარწერებში. მაგ., ასურეთის დიდ მეფეს ტიგლატპილისერ I (1115 - 1079) და მის მემკვიდრეებს ორი საუკუნის განმავლობაში ქართველურ ტომთა სამ გაერთიანებასთან მოუწია ბრძოლა. ტიგლატპილისერის მრავალ წარწერაში ნახსენებია მისი ლაშქრობები კოლხების, ტაოხებისა და მესხების წინააღმდეგ (ლერნერი 2017; lerner 2021). თუ კი საერთო-ქართველური ეთნო-დიალექტური ერთიანობის დაშლის დაწყება ძვ. წ. ა. მე-4 - მე-3 ათასწლეულების მიჯნაზე ვივარაუდოთ (Гамкрелидзе, Иванов 1984, 880-81; 859; 909), მაშინ ასურულ წარწერებში დაფიქსირებულ პერიოდისათვის მათ საზოგადოებრივი განვითარების საკმაოდ გრძელი გზა უნდა გაევლოთ. და ამიტომ სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ასურულ წარწერებში ამ ტომებში არსებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ელემენტებია ასახული. კერძოდ, ჩვენ ვიცით ტაოხების იმ ეფოქის ერთ-ერთი მეფის სახელი - ს ე ნ ი (Меликишвили 1960, 142); მეორე მხრით კი, ასურეთში შემოჭრილ მესხების 20 000-ათასიან ჯარს (იხ. ქვემოთ), იმავე ტიგლატპილისერ პირველის თქმით, ‘ ხუთი მეფე სარდლობდა’...
ქართველურ ტომთა ისტორიის ეს უძველესი ეტაპი ქართულ წყაროებში საერთოდ არ არის ასახული. ერთად- ერთი მინიშნება „მოქცევაი ქართლისაი“-ს ისტორიულ ქრონიქაშია შემონახული. ეს მოკლე და ხშირად ბუნდოვანი ისტორიული ნაშრომი ფაქტიურად ძუნც კომპილიაციას წარმოადგენს. „მქ“-ს ჭელიშურ ხელნაწერს (რომელიც მე-13 საუკუნეში იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში, უფრო ძველი წყაროდანაა გადაწერილი) ტექსტის შუაში უცნობი რედაქტორის მინაწერი ახლავს: „ *ესე აღწერილი გამოკრებულად არს“* (დაწვრ. იხ. Lerner 2004 a, 131-36; Lerner 2004 b, 25; 149). ქრონიკის თავისებურება (ამა თუ იმ მეფეს და ზოგჯერ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას- ერთი წინადადება ეძღვნება; და თვით ამ მინაწერის შინაარსი) გვაფიქრებს, რომ ამ ქრონიქის კომპილატორს ძველი ისტორიული წყაროების მდიდარი ბიბლოთექა უნდა ჰქონოდა ხელთ. სამწუხაროდ ამ სავარაუდო წყაროებიდან არც ერთი არ არის შემონახული ან თუნდაც სხვა წყაროებიდან ცნობილი. მაგრამ იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ქრონოკის პირველი ნაწილის რომელიმე ფრაგ-მენტის მეტ-ნაკლებად რეალისტური ინტერპრეტაცია მაინც ხერხდება, ჩვენს წინ მეტად საინტერესო ისტორიული პერსპექტივა იშლება. ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს სწორედ არიან-ქართლის ხსენება წარმოადგენს.

არიან - ქართლი და გაცი

„მქ“-ს ქრონიკის თანახმად, ქართლის პირველი სამეფო დინასტია თითქოს მითური ქვეყნიდან- ა რ ი ა ნ ქ ა რ თ ლ ი-დანაა წარმომავლობით: „ და აზო, ძე არიან ქართლისა მეფისა... წარვიდა არიან ქართლად , მამისა თვისისა, და წარმოიყვანა რვა სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთად“ (აბულაძე 1963, 81-2). მიუხედავად

იმისა, თუ ვინ იყო ეს აზო, სინამდვილეში რა ერქვა მას და საერთოდ ისტორიულად არსებობდა თუ არა ასეთი კონკრეტული პერსონაჟი (დაწვრ. იხ. ლერნერი 2017, 40), ამ მოკლე პასაჟიდან თვალნათლივ გამომდინარეობს, რომ რაღაც უცნობი წყაროს მიხედვით, ან თუნ-დაც ქართველურ ტომებში მოარული ლეგენდის თანახმად, ქართული სატომო არისტოკრატ-იის უცნობმა წარმომადგენელმა მიიღო გარკვეული დახმარება ამ არიან ქართლიდან და არმაზელთა სამეფო დინასტია დაარსა. როგორც ვხედავთ, ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების ეს ვერსია საგრძნობლად განსხვავდება ფარნავაზისა და მისი განძის ლეგენდისაგან, რომელიც „ ქც“-შია გადმოცემული... სამწუხაროდ არიან ქართლის შესახებ მეტი არაფერი არის ცნობილი.

ამავე წარმომავლობისაა ქართლის სამეფო პანთეონის ერთ-ერთი ღვთაებაც: „ და აზოს (არიან ქართლიდან წამოსვლისას- კ. ლ.) თანა ჰყვანდეს კერპნი ღმრთად - გაცი და გაიმ“ (აბულაძე 1963, 82). დაახლოებით შვიდასი წლის შემდეგაც ეს კერპი ისევ იდგა არმაზის საკერპოში და იმავე სახელს ინარჩუნებდა. ყოველ შემთხვევაში ნინომ (ან ნინოს ცხოვრების ავტორმა) ნახა იგი უშუალოდ ქართლის გაქრისტიანების წინ: „ და აჰა დგა კაცი ერთი სპილენძისაი (არმაზი - კ. ლ.)... და მარჯულ მისსა დგა კ ე რ პ ი ოქროსაი და სახელი მისი გ ა ც ი, და მარცხლ მისსა - კერპი ვერცხლისაი და სახელი მისი გა, რ ო მ ე ლ ნ ი ი გ ი ღ მ რ-თ ა დ ჰ ქ ო ნ დ ე ს მ ა მ ა თ ა თ ქ უ ე ნ თ ა არიან ქართლად“ (აბულაძე 1963, 119-20; მეორე ღვთაების - გა -ს ან გაიმ-ის შესახებ დაწვრ. იხ. ლერნერი 2017).

„ნინოს ცხოვრების“ ეს ვერსია თითქმის ზუსტად იმეორებს ქრონიკის ზემოთ განხილულ ფრაგმენტს, თუმცა უმატებს ქრონიკაში არ არსებულ ინფორმაციას-‘ მამათა თქუენთა“. ქრონიკა მხოლოდ აზოს ახსენებს. ამავე დროს კომპილატორული ქრონიკა და „წმ. ნინოს ცხოვრება“ დამოუკიდებელი ნაწარმოებია , რომელნიც ერთ კრებულში - ე.წ. „შატბერდის კრებულში“ - მოგვიანებით (მე-10 საუკუნეში -?) აღმოჩდნენ ჩართულნი. ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, რომ კრებულის ერთი თხზულება ამავე კრებულის წინა ნაწილს იმეორებ-დეს. უფრო უპრიანია ვიფიქროთ, რომ ორივე ნაწილის ავტორები ერთიდაიგივე, ან მსგავს, ისტორიული წყაროებით სარგებლობდნენ, სადაც ქართლის უძველესი ისტორია ყოფილა გადმოცემული. ქართულ წყაროებში არც არიან ქართლისა და არც გაცის შესახებ აღარა-ფერი არის ნათქვამი. მაგრამ გაცის რაობა (ან ვინაობა?) საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად წარმოვიდგინოთ თვით არიან ქართლის არსი.

გაცის სახელი ძვ. წ. ა. მე-19 ან მე-18 საუკუნის ასურულ წარწერაში გვხდება და იქაც ის - ღვთაებაა: „ მე, იტიტიმ, უმაღლესმან მსაჯულმან და ინინბალას ძემ, ეს (ნივთი) გ ა ც ი ს საგანძურიდან ჩემს ნადავლიდან შევსწირე უმაღლესს ქალღმერთს ი ნ ა ნ ა ს“. (Assyrian… 1976, I, No.14). ამდენად, ძვ. წ. ა. II ათასწლეულის დასაწყისში სადღაც ასურეთის მეზობელ ქვეყანაში არსებობდა გ ა ც ი ს ტაძარი, რომელიც ასურელმა მოხელემ დალაშქრა. თვით ამ ღვთაების სახელი საშუალებას გვაძლევს მიახლოებით განვსაზღროთ ის რეგიონი, სადაც გაცის ტაძარი უნდა ყოფილიყო. კერძოდ, მკლევართა დაკვირვებით, ხურიტების სახელ-მწიფოს - მიტანი-ს (ან მატიენას) ცენტრალურ პროვინციას გ ა ც -ურა ერქვა (Вальхейм 1999, 31). ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ გ ა ც ი ხურიტული ღვთაება იყო და მისი ტაძარი სადღაც ამ ხურიტულ პროვინციაში იქნებოდა განლაგებული.

ნ ა ი რ ი

მიტანის სახელმწიფო ძვ. წ. ა. მე-14 საუკუნეში დაიმხო ხეტების დაწოლის შედეგად. ყოფილი მიტანის ტერიტორიას კი (ან მის უდიდესს ნაწილს) ასურულ წარწერებში ნ ა ი რ ი ეწოდება. ეს ახალი მაკროტოპონიმი დოკუმენტებში უკვე მე -13 საუკუნიდან

გვხდება (Zimansky 1985, 50). სპეციალისტთა განსაზღვრებით, ეს იყო სხვადასხვა ეთნოსებით დასახლებული ვრცელი მთიანი რეგიონი ორი ტბის შორის - ჩრდილო-დასავლეთით მას საზღვრავს ვ ა ნ - ის ტბა, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი გადაჭიმულია ურ მ ი ა ს ტბა (Bruce 2012, 199).

როგორც ასურულ მეფეთა სალაშქრო წარწერებიდან ირკვევა, ამ სატომო გაერთიანებათა შორის ქართველური ტომებიც იყვნენ (დაწვრ. იხ. Lerner 2005, 94; ლერნერი 2017, 33-5; Lerner 2021, 52). ასე მაგ., ასურეთის მეფის ტიგლატპილისერ I ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ: „ მე დავიპყარი ნ ა ი რ ი ს ვრცელი ქვეყანა ვიდრე დ ა ი ე ნ უ -ს მიწანდე და დასავლეთით ზემო ზღვამდე მივედი“ (Assyrian… 1976, I, No. 21). „ზემო ზღვა“ ამ შემთხვევაში სწორედ ვ ა ნ ი ს ტბას გულისხმობს (იხ. სურათზე მარცხნივ). დ ა ი ე ნ უ კი, როგორც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში გ. მელიქიშვილმა დაადგინა (Меликишвили 1954, 9), ქართველ ტ ა ო ხ -ებს აღნიშნავს. ამდენად, ძვ. წ. ა. სულ ცოტა მე-12 - მე -11 საუკუნეებში ვ ა ნ ი ს ტბის აღმოსავლეთ მიდამოებში ტაოხების ტომი ბინადრობდა. იმავე მეფის სხვა წარწერის თანახმად ძვ. წ. ა. 1115// 1114 წელს ასურეთში მუშკუს (ე. ი. - მესხების) გაერთიანებული ჯარი შეიჭრა: „ ჩემი გამეფების პირველ წელს 20 000 მუშკუ მათი 5 მეფითურთ მდინარეზე (ტიგროსზე- კ.ლ.) გადავიდნენ და კადმუხუს ქვეყანა დაიკავეს. მე ვეომე მათ... ცოცხლად დარჩენილი 6 000 მუშკუ ჩემს ქვეყანაში დავასახლე და ჩემი სახელმწიფოს მაცხოვრებლებად ვაქციე“ (Assyrian… 1976, I, No 92). უფრო მოგვიანებით, მე-9 საუკუნეში, ასურელი მეფეები ისევ ამ მუშკებს ებრძვიან: „მე მაღალი მთები გავიარე და მუშკუს ქუეყანას მიუახლოვდი“ (იქვე II, No. 476); და კიდევ: “ მე ტიგროსის მდინარეზე გადავედი და კადმუხუს და მუშკუს ქვეყანას მივაგექი“ (იქვე, No. 549)...როგორც ამ წარწერებიდან ჩანს, მუშკები ამ დროს სადღაც ზემო მესოპოტამიაში, ტიგროსის ზემო წელში ცხოვრობენ.

მაშასადამე, ძვ. წ. ა. მე-12 - მე-9 საუკუნეებში ნ ა ი რ ი ს ტერიტორიაზე ორი (და ალბათ - მეტიც) ქართველური ტომი ბინადრობდა - მესხები და ტაოხები. და სავსებით მოსალოდნელია, რომ ხურიტული ღვთაების კულტი მათ იქვე აითვისეს და შემდეგ ახალ სახელმწიფოში - ქართლში - დანერგეს. სწორედ ამ რეგიონში უნდა ვივარაუდოთ „არიან ქართლის“ მდებარეობაც. ამ ისტორიულ-გეოგრაფიული ცნების ამგვარი ლოკალიზაცია არ

არის ახალი. ახლო აღმოსავლეთის და კერძოდ შუამდინარეთის ზოგადი ისტორიის გათვალისწინებით ქართული „არიან ქართლი“ ხურიტულ ეთნო -კულტურულ სამყაროს ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლეებში გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა სიმონ ჯანაშიამ დაუკავშირა: „ Упоминаемая в хронике “ Обращение Картли “ страна Ариан Картли представляет собой воспоминание о стране хурритов, где в древнейшие времена жили картвелы. Возможно, здесь имеется в виду страна Матиена…или окрестности озера Ван“ (Джанашна 1952, 70).

ჩვენს მიერ განხილული ასურული წარწერების ჩვენება აშქარად ამაგრებს ს. ჯანაშიას ოდინდელ დაკვირვებას და კიდევ უფრო აზუსტებს ამ ისტორიული გეოგრაფიული ცნების ლოკალიზაციას. მეორე მხრით კი, ასეთი ლოკალიზაცია თითქმის ემთხვევა იმ რეგიონს, სადაც, თ. გამყრელიძის აზრით, ძვ. წ. ა. მეოთხე-მესამე ათასწლეულში საერთო-ქართველურ-ის დიფერენციაციის პროცესი დაიწყო (Гамкрелидзе, Иванов 1984, 880-1; 859; 909).

თავად კი ჩვენთვის საინტერესო ქართული ტერმინი ა რ ი ა ნ ფაქტიურად აკადური ნ ა ი რ ი -ს უკუწაკითვას წარმოადგენს, ერთგვარი მეტათეზისის გზით მიღებულს. თითქმის ისევე, როგორც შუმერულ - აკადური ქალღმერთი ი ნ ა ნ ა არმაზში ა ი ნ ი ნ ა -დ იქცა.

ამდენად , ა რ ი ა ნ ქ ა რ თ ლ ი- ს ქვეყანა არც თუ მთლად „მითოლოგიური“ ყოფილა. და კომპილატორული ქრონიკის ამ ეპიზოდის სავარაუდო წყარო ქართველურ ტომთა უძველესს ისტორიაში კარგად გარკვეული ნაშრომი უნდა ყოფილიყო. ქართლის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ზემოთ ნახსენებ ორ განხვავებულ ვერსიას რომ დავუბრუნდეთ, ადვილად შეიძლება დავინახოთ, რომ „ ქართლის ცხოვრება“ ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ელინისტურ ხანას უკავშირებს და ამ სახელმწიფოს სელევკიდთა სახელმწიფოზე დამოკიდუ-ლებას უსვამს ხაზს: „და მსახურებდა იგი (ფარნავაზ - კ. ლ.) ანტიოქოსსა, მეფესა ასურასტანი-სასა“ (ყაუხჩიშვილი 1955, 25); იგივეა ნათქვამი საურმაგისა და მირვანის შესახებ (იქვე, 27-8). ‘არიან ქართლის’ ცნება კი ძვ. წ. ა. მე-2 ათასწლეულს მიგვანიშნებს. და ამ ფონზე ელინისტ-ურ პერიოდში არმაზ-ბაგინეთის მიდამოებში აღმოცენებულ პოლიტიუკურ ერთეულს ‘ახალი სამეფო’ უნდა ეწოდოს.

დანართი

აზემოთ განხილული ხურიტული ღვთაების სახელი დღესდღეობით ისევ ცოცხალ ტიპონიმში შემონახული ჩანს. ერევნიდან (ურარტუს ქალაქი ერებუნი) დასავლეთით 42 კილომეტრის დაშორებით განლაგებულია 4 000 მეტრის სიმაღლის ვულკანური მთიანი კომპლექსი, რომელსაც ა რ ა გ ა ც ი ეწოდება. თანამედროვე არმენოლოგიაში მისი ეტიმოლოგია უცნობად ითვლება. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მთიანი კომპლექსი ფაქტიურად ნ ა ი რ ი-ს და უფრო ადრე - მ ა ტ ი ე ნ ა -ს ჩრდილო გეოგრაფიულ საზღვარს მიგვანიშნებს, სავსებით დასაშვები იქნება ვივარაუდოთ, რომ მას ხურიტული ღვთაების სახელი ეწოდებოდა - გ ა ც ი ს მ თ ა. და თუ ეს ასეა, მაშინ დღევანდელ სომხეთში და ქართლში, არმაზში, საზიარო ხურიტულ მემკვიდრეობასთან უნდა გვქონდეს საქმე.

1

გამოყენებული ლიტერატურის სია

აბულაძე 1963 = *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (5- 10- სს.)* [Memoris of Ancient Georgian Hagiography. 5th -10th centuries] ი. აბულაძის რედაქციით, თბილისი.

ლერნერი, კ . (2017), 'ქ ა რ თ ლ ი - ქალაქი და მისი ღვთაებები' [The City of K'art'li and it's Deiyes], „მაცნე", 1, 33 – 46, თბილისი.

ყაუხჩიშვილი (1955) = *ქართლის ცხოვრება* [History of K'art'li] I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი.

Assyrian Royal Inscriptions I-II (1976), publ. by Albur Kirk Grayson,Wiesbaden.

Bruce, Tever (2012), *The World of the Neo-Hittite Kingdoms: A political and Military History,* Oxford University Press.

Lerner, C., (2004 a), 'On the origin of the "Chelishi" manuscript of the *Conversion of Kartli',* "le Museon". Revue d'etudes orientales, Tome 117 – Fasc. 1-2, 131-136, Louvain-La- Neuve.

Lerner, C., (2004 b), *The Wellspring of Georgian Historiography. The Early Medieval Historical Chronicle* "The Conversion of K'art' li" and " The life of St. Nino", Translated with Introduction, Commentary and Indices by Constantine B. L e r n e r.

Lerner C. (2005), 'Die nahostlichen Wurzlen des heidnishen georgichen Pantheon', "Georgica" 28, 92-101, Shaker Verlag, Aachen.

Lerner, C. (2021), ' The Split of Common Kartvelian Unity in the Light of Assyrian Inscriptions', *Caucasica Antiqua et Chrisytiana* 49-55, ed. By David Kolbaia, Faculty of Oriental Studies. University of Warsaw, Warsaw.

Zimansky, Poul, (1985), *Ecology and Empire: The Structure of the Urartian State,* Oriental Institute of the University of Chicago, 49 -55, Chicago.

Вильхейм, Г. (1992), *Древний народ хурриты,* перевод с немецкого И. М. Дунаевского, Москва.
Гамкрелидзе, Т. , Иванов, Вяч., (1984). *Индоевропейский язык и индоевропейцы,* Москва.
Джанашия, С . (1952), 'Древнейшее грузинское национальное свидетельство о прародине картвелов в свете истории Ближнего Востока', его же *Труды,* 62-77 , Тбилиси.
Меликишвили, Г., (1954), *Наири – Урарту,* Тбилиси .
Меликишвили, Г.,(1960) *Урартские клинообразные надписи*, Москва.

Constantine B. L e r n e r (Jerusalem)

Towards the feasible location of the "Arian Kartli "

(Summary)

Preface

Documented political history of ancient K'art'velian (Georgian) tribes can be traced back to the second half of the XII c. BCE. Beginning from that time and up to the IX c. BCE some K'art'velian tribes – *Meschi* (Akkad. *Mushku*, Greek *Mosoch*); *Taochi* (Akkad. *Dayenu*, Hurrian *Diauchi*) and *Kolchi* (Akkad. *Kilxi, Greek Kolxis*) are mentioned in the royal inscriptions of the Assytian kings - in the military inscriptions by Tiglath-Piliser I (1115-1079) and his descendants.
Thus, if the split of the Common K'art'velian Unity began on the eve of the 4-3 millennium BCE (Th. Gamkrelidze), than up to historical period, when military and political activity of these tribes was fixed in Assyrian documents, they had just passed long way of socio-political consciousness. And if so, it was no accidentally that in Assyrian documents were reflected some elements of statehood already existing among K'art'velian tribes. So, for example, from the inscriptions by Tiglath-Piliser we know the name of one of the Kings of Taochi – S e n i; on the other hand the same Assyrian king remarks, that 20 000 Mushku army invaded Assyria was under the command "of five kings"… This ancient period from the history of K'art'velian tribes absolutely lacks in Georgian historical sources. The sole allusion to this near-eastern stage of K'art'velian history seems to be preserved in compile chronicle "The Conversion of K'art'li" containing the vague notion of 'Arian K'art'li'. The Chelishi manuscript (13 c. CA) of the Chronicle in the middle of the text preserves an anonymous colophon indicated the character of the compilation itself: "All of the above has been described selectively". This remark evidently presupposes a large collection of manuscripts in disposal of ancient compiler, yet none of these sources preserved or even is known from other historical works. Below I will discuss the possible historical matter of the "Arian K'art;li".

Arian K'art;li and Gaci

According to the ancient compile Georgian chronicle – "The Conversion of Kartli", first royal dynasty in the eastern Georgian State of Kartli by its provenance was from allegedly legendary country of A r i a n K a r t l i : " This Azo, son of the king of the Arian Kartli, set out for Arian Kartli, to his father and fetched eight households and ten households of his father's kinsmen and settled in Old Mcxeta". Nothing more concerning this state – Arian K'art'li – is known. Yet by this legend some representative of the Kartvelian tribal aristocracy received help from this country and founded dynasty in the new state… So, this Chronicle (evidently based on some existed yet not

preserved sources) presents different version of founding of the eastern Georgian – Kartlian State which is described in "The History of K'art'li" and relates a legend concerning the 'history' of the Parnavazid dynasty in K'art'li.
Of the same origin from Arian Kartli appears to be the deity of the royal pagan pantheon of Kartli: "… and his (of Azo – C. L.) Gods were the idols Gaci and Gaim". Almost seven centuries later the same idol – Gaci - still stood in Armazi gorge and author of "The Life of St. Nino" sow it immediately before Christianization of Kartli in the 30-ies of the IV c. :" Bechold, there stood a man, made of cooper (Armazi –C. L.) …At its right hand was another idol, of gold, and its name was Gaci… and these were Gods to your fathers in A r i a n K a r t l i ". Seemingly, this passage in the Chronicle and in "The Life of St. Nino" had the same extinct historical source.
The name of the God makes it possibly to interpret the notion of the country itself. So, Gac-i seems to be historically real deity of the Near-Eastern origin. His name is mentioned in Assyrian cuneiform inscription from the XIX c. BCE : " I, Ititi, supreme judge and the son of Ininbala dedicated this from the my booty of Gatsura to the Goddess Inini". Thus, in the II mill. BCE in the some land neighbor to Assyria existed the temple of Gac, which had been conquered by Assyrian officer Ititi. On the other hand, the central province of the Hurrit state of Mitani (or Matiene) was named after this deity – Gacura. So, Gac must be real Hurrian deity. The State of Matiena vanished in the XIV c. BCE and the territory of former Hurrit state in the Akkadian sources was named – N a i r i. This place name appears in Assyrian Royal Inscriptions since the XIII c. BCE.
The region of Nairi, located between Lake Van on the North-West and the Lake Urmia in the South-East, was populated by a particular groups of tribal principalities and for centuries became an object of hostilities between Hitities and Assyrians for control over the remnants of the former kingdom of Mitani. As analysis of the Assyrian inscription shows, among this tribal principalities were some Kartvelian tribes also. So Assyrian King Tiglath-Piliser I in his inscriptions declares: " I < …> conquered the extensive land N a i r i to the land Dayenu"; and more : " I conquered the extensive land Nairi from the land Tammu to the land Dayenu and to the Upper Sea in the West". So, Kartvelian tribe T a o x i is supposed in North-West part of Nairi in Eastern vicinity of the Lake Van (left oh the picture). According to other inscriptions of the same king, in this region in the upper basin of the Tigris river at the same period inhabited other Kartvelian tribe – Musku (i.e. Mesxi): " In my accession year: 20 000 Musku with their five kings crossed the river, came dawn and captured the land Kadmuhu <…>"; Other king says: " I crossed the Tigris and approached the land Kadmuhu. I received the tax and tribute of the lands Kadmuhu and Musku"(IX c. BCE)…
Thus, the inscriptions under discussion show that at the end of the II mill. BCE some Kartvelian tribes – Mesxi, Taoxi (and it is not unlikely – some others) dwelt in Nairi, on the territory of former Mitani. They there perceived the cult of Hurrit deity and later implanted it in the new state – in Kartli. Ancient Georgian geographic term A r i a n evidently means this territory and as a matter of fact represents reverse reading of the latter - N a i r i gives A r i a n by the way of some specific metathesis; almost as like as Sumero- Akkadian Goddess I n a n a in Kartlian pantheon became A i n i n a.
Thus, the 'Arian Kartli' turns out real geo-political concept symbolizing the ancient middle-eastern history of Kartvelians and Kartvelian statehood. Indeed, "The History of Kartli" founding of the State of Kartli dates from the Hellenistic period and emphasizes political dependence of Kartli from the Selevkid kings: "And P'rnavaz was subject to Antiochos, king of Asurastan". The same is sad for

second (Saurmag) and third (Mirvan) kings of P'arnavazid dynasty. At that time the Arian Kartli points to the II mill. BCE … In the light of such contradiction between the two legends the political unit came into existence at confluence of two rivers – Kura and Aragvi – in the Hellenistic time may be regarded the New Kartvelian State.

Application

The name of the god – G a c seems to be preserved in Armenian place name A r a g a c, designating the mount of 4 000 meter, located 42 kilometer west to the city of Erevan (Urartian – Erebuni). Taking in account, that this volcanic complex as a matter of fact points to the northern geographical limit of Nairi (and more earlier – of Mitani) one can assume, that the mount was named after the Hurrit deity: Mount Gac. And if so, than in modern Armenia and in Armazi pantheon in Kartli we can see common Hurrit heritage.

Константин Б. Л е р н е р
(Иерусалим)

Возможная локализация страны А р и а н Ка р т л и
(Резюме)

Предисловие

Документированную политическую историю древнегрузинских племен можно проследить со второй половины II тысячелетия до н. э. Начиная с этого времени и вплоть до IX в. до н. э. эти племена неоднократно упоминаются в походных надписях ассирийских царей. Так, например, великому царю Тиглат-Пилисер I (1115- 1079) и его преемникам на протяжении более двухсот лет приходилось бороться с тремя картвельскими племенными объединениями. В многочисленных походных надписях Тиглат-Пилисера отражены его экспедиции против колхов, таохов и месхов…И если считать, что распад обще-картвельского этно-диалектного единства приходится на рубеж 4 – 3 тысячелетий до н. э. (Т. Гамкрелидзе, В. Иванов), то ко времени, когда ассирийские памятники фиксируют военно-политическую активность этих племен, они уже должны были пройти длительный путь общественного развития. Поэтому ассирийские документы неслучайно отражают наличие среди этих племен элементов государственного устройства. Так, например, мы узнаем имя одного из царей таохов – Сени, которого Тиглат-Пилисер пленил и привел в свою столицу Ашур. С другой стороны, по замечанию того же царя, 20 000-ой армией месхов, вторгнувшейся в Ассирию, "командовали пять царей месхов"…

Этот древнейший, месопотамский, период картвельской истории почти начисто отсутствует в грузинских летописях. Единственным исключением является краткая компилятивная хроника "Обращение Картли ," в которой мельком упоминается некая страна Ариан Картли. В Челишском списке этой летописи, переписанном с древнего источника в 13 в. в Иерусалиме, в Крестовом монастыре, в середине текста содержится анонимная поминальная запись: "Все это описано выборочно." Иначе говоря, в распоряжении древнего компилятора, очевидно, имелся некоторый набор исторических источников, ни один из которых не сохранился и, даже, не

известен из других упоминаний. Но в тех редких случаях, когда все-таки удается более или менее реалистично интерпретировать какой-либо эпизод из древней части этой хроники, перед нами раскрывается новая историческая перспектива. Одним из таких эпизодов и оказывается упоминаемая в хронике страна Ариан Картли.

Ариан Картли и Гац

По сообщению древнегрузинской компилятивной хроники "Обращение Картли", первая царская династия восточно-грузинского государства Картли происходила из легендарной страны А р и а н К а р т л и : " Этот Азо, сын царя Ариан Картли, пошел в Ариан Картли, к отцу своему, привел восемь домов и десять домов родичей отцовских и сел в Старой Мцхета". Больше ничего об этой стране не известно. Однако ясно, что некий представитель картвельской племенной аристократии получил какую-то помощь из этой страны и основал династию в новом государстве…Т. е. наша хроника содержит иную версию формирования Картлийского царства, заметно отличающуюся от легенды о мцхетском жителе Парнавазе, нашедшем клад и ставшем царем в Мцхета, которую рассказывает основная грузинская летопись "Жизнь Картли ." В распоряжении составителя нашей компиляции очевидно находился какой-то не известный в настоящее время исторический источник..
Судя по этому же эпизоду, того же происхождения оказывается и один из идолов картлийского царского языческого пантеона Гац: " И были при нем (при Азо по выходе из Ариан Картли – К. Л.) богами идолы Гац и Гаим ." Спустя 700 лет после образования Картлийского царства Нино (или автор "Жития св. Нино") видела этого идола в урочище Армази накануне христианизации страны в 30-ых годах четвертого века: " И вот, стоит идол медный, и имя ему Армаз, а справа от него идол из золота и имя ему Г а ц, а слева от него идол серебренный и имя его Га, которые были богами отцов ваших в Ариан Картли ."
И это явная цитата, которая перекликается с предшествующей компиляцией. Или скорее имеет с ней общий утраченный источник, в котором была изложена древняя история картвельских племен. Вместе с тем, само имя божества позволяет сделать некоторые предположения относительно самой страны.
Г а ц, видимо, был реальным божеством ближневосточного происхождения. Его имя упоминается в ассирийской надписи 19-го в. до н. э.: "Я, Итити, верховный судья и сын Ининбала, это из моей добычи из сокровищницы Гац-а пожертвовал верховной богине Инане."
Таким образом, в начале второго тысяч. до н. э. в некой стране, соседствующей с Ассирией, находился храм бога Гац, который был захвачен ассирийским военачальником.
С другой стороны, известно, что центральная провинция государства хурритов – Митани (иди Матиены) называлась Гац –ура, очевидно, по имени хурритского бога. Само это государство под ударами хеттов пало в 14-ом в. до н. э., а территория бывшего хурритского царства в ассирийских источниках стала известна под именем Н а и р и. Этот макротопоним в клинописных памятниках встречается уже с 13-го в. до н. э..
Эта обширная горная страна, расположенная в Верхней Месопотамии между озерами Ван на северо-западе и Урмия на юго-востоке и населенная различными племенными объединениями, на протяжении веков оставалась ареной борьбы между Хеттской и Ассирийской империями, стремившимися к господству над территорией бывшего государства хурритов. Как свидетельствует анализ походных надписей ассирийских царей, среди множества племен,

населявших Наири, были и картвельские племена. Так, одна из надписей царя Тиглат-Пилисера I (1115 – 1079) гласит: “ Я <…> пошел походом против пространной страны Наири до земли Дайену “; и еще: ” Я завоевал обширную страну Наири от страны Тумму до земли Дайену и до Верхнего моря на западе“. Верхнее море в ассирийских надписях обозначает озеро Ван, тогда как Черное море называется Большим, а Средиземное - Ливанским; племя Дайену, как еще в 50-ых годах прошлого века показал Г. Меликишвили, подразумевает картвельское племя таохов. Т. о. в 12- 11 вв. до н. э. племя таохов предполагается в северо-западной части страны Наири, на восточном берегу озера Ван.

Согласно другой надписи того же царя, в той же стране Наири, в верхнем течении р. Тигр в ту же эпоху проживало другое картвельское племя – мушку, т. е. месхи: “В год моего воцарения: 20 000 мушку с их пятью царями спустились с гор и захватили страну Кадмуху…Я воевал с 20 000 их воинов… “ .С этим племенным объединением (срв.,‘пять царей’) воевали и другие цари Ассирии. Так, в середине девятого века до н. э. царь Ашур- Насри-Апли II сообщает : ” Я перешел через реку Тигр и приблизился к стране Кадмуху. Я получил налоги и дань из страны Кадмуху и Мушку”. Т. е. племя мушку предполагается где-то в верхнем течении Тигра. ..

Итак, судя по этим надписям, еще в конце второго тысячелетия картвельские племена таохов и месхов (и, видимо, и другие) проживали в стране Наири, в регионе бывшей страны хурритов. Именно здесь они могли воспринять культ хурритского бога Гац, который затем был перенесен в новое царство. Что же касается самого древнегрузинского географического термина А р и а н, то он, по всей видимости, представляет собой обратное прочтение акадского макротопонима Н а и р и, полученное в результате своего рода метатезы. По сути дела так же, как имя шумеро-аккадской богини И н а н а в грузинском пантеоне превратилось в А и н и н а.

Возвращаясь к отмеченному выше противоречию между двумя легендами основания Картлийского царства, можно заметить, что легенда о царе Парнавазе основание царства датирует 3-4 вв. до н. э. и подчеркивает зависимость династии Парнавазидов от Селевкидской Сирии: “И служил Парнаваз Антиоху, царю Ассирийскому.“ То же самое говорится о втором (Саурмаге) и третьем (Мириане) царях династии. В то время как упоминание страны Ариан Картли и ее царя существование грузинской государственности относит уже ко II тысячелетию до н. э. И на этом фоне политическую единицу, сформировавшуюся в эллинистическую эпоху у слияния рек Куры и Арагви и известную как Картлийское царство, можно назвать новым царством.

Приложение

Имя хурритского бога Г а ц, видимо, сохранилось в одном из древних топонимов. В 42-х км. к западу от г. Ереван (урартский – Эребуни) возвышается 4-х километровый горный комплекс, который называется А р а г а ц. В современной арменистике этимология этого топонима считается утерянной. Однако, если принять во внимание, что этот вулканический комплекс фактически знаменует северный географической предел страны Наири (а в древности – страны Митани), то вполне можно предположить, что горный комплекс был назван в честь бога: Гора Г а ц. А если, так, то на территории современной Армении и в картлийском языческом пантеоне мы видим общее хурритское наследие.